განმარტებითი ბარათი
საქართველოს კანონის პროექტზე
„ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

კანონპროექტის მიღების მიზეზია ერთის მხრივ საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების (შემდგომში - ასოცირების შესახებ შეთანხმება) 306-ე და 312-ე მუხლები, რომელთა თანახმად საქართველო ვალდებულია, მოახდინოს ეროვნული კანონმდებლობის დაახლოება ასოცირების შეთანხმების XXVI და XXVII დანართებში მითითებულ ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებთან და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებთან. კერძოდ, „ატმოსფერული ჰაერის ხარისხისა და ევროპაში უფრო სუფთა ჰაერის შესახებ“ 2008 წლის 21 მაისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2008/50/EC დირექტივის, „ატმოსფერულ ჰაერში დარიშხანის, კადმიუმის, ვერცხლისწყლის, ნიკელის და პოლიციკლური არომატული ნახშირწყალბადების შემცველობის შესახებ“ 2004 წლის 15 დეკემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2004/107/EC დირექტივის შესაბამისად სახელმწიფო ვალდებულია, ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის მიზნით დაადგინოს ზონები და აგლომერაციები და მოახდინოს მათი კლასიფიცირება, შესაბამის დამაბინძურებელ ნივთიერებებთან მიმართებით ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შენარჩუნების/გაუმჯობესების მიზნით, შემოიღოს და გაატაროს სათანადო ზომები. სახელმწიფო ასევე ვალდებულია, ფტორირებული სათბურის აირების მართვის მიზნით, შექმნას აღრიცხვის, აღდგენის, გაუვნებელყოფის, გამოყენების, ემისიების პრევენციის და კონტროლის სისტემა. ასევე, კანონპროექტის მიზანია ქვეყანაში ატმოსფერული ჰაერის დაცვისა და კლიმატის ცვლილების სფეროში ევროპული სტანდარტების შემოღება, რაც ხელს შეუწყობს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შემცირებას, ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შენარჩუნებას/გაუმჯობესებას, ატმოსფეროში სათბურის აირების კონცენტრაციის შემცირებას და ადამიანების ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნას, რომელთათვისაც განსაკუთრებით საშიშია ატმოსფერულ ჰაერში ძირითადი მავნე ნივთიერებების გაზრდილი კონცენტრაცია.

კანონპროექტი მიზნად ისახავს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის სისტემის ჩამოყალიბებას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ზონებსა და აგლომერაციებში, შეფასების რეჟიმების დადგენას მოდელირებისა და სხვა ემპირიული მეთოდების გამოყენებით, შედეგად მონიტორინგის სისტემისა და ქსელის გაუმჯობესებასა და სრულყოფას, ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შესახებ საზოგადოების ინფორმაციით უზრუნველყოფის სისტემის ჩამოყალიბებას. იმისთვის, რომ დაცული იყოს ადამიანის ჯანმრთელობა და გარემო, უკიდურესად მნიშვნელოვანია მავნე ნივთიერებების წყაროებთან გამკლავება და ეფექტიანი ღონისძიებების გატარება ადგილობრივ დონეზე. კანონპროექტით ასევე გათვალისწინებულია ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვისა და მოკლევადიანი სამოქმედო გეგმების შემოღება, რომელიც მიმართული იქნება ადგილობრივ დონეზე შესაბამისი ღონისძიებების გატარებაზე ყველა იმ ზონასა და აგლომერაციაში, სადაც დადგინდება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ზღვრული ოდენობის გადაჭარბება შესაბამისი ძირითადი მავნე ნივთიერებების მიმართ.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

საქართველოს ტერიტორიაზე ატმოსფერული ჰაერის დაცვასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები რეგულირდება „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით. შესაბამისად, საჭიროა სწორედ აღნიშნულ კანონში აისახოს ატმოსფერული ჰაერის დაცვის მრეგულირებელი ნორმები, მათ შორის ევროდირექტივების დებულებები.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

კანონპროექტის მიღების შედეგად საქართველოს კანონმდებლობა დაუახლოვდება ევროკავშირის კანონმდებლობას და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებს, შესაბამისად, ქვეყანაში ატმოსფერული ჰაერის დაცვა განხორციელდება და მასთან დაკავშირებული ურთიერთობები მოწესრიგდება ევროპული სტანდარტების შესაბამისად.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტით ცვლილება შედის „ატმოსფერული დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის რიგ მუხლებში, კერძოდ, „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედი რედაქცია არ გამოყოფს ძირითადი მავნე ნივთიერებების ჩამონათვალს, რომელიც განსაკუთრებით საშიშია ადამიანის ჯანმრთელობისათვის. კანონპროექტი შემოაქვს ახალი ტერმინი „ძირითადი მავნე ნივთიერებები“, რომლის ჩამონათვალიც სრულად მოიცავს ევროკავშირის დირექტივებით გათვალისწინებულ დამაბინძურებელ ნივთიერებებს.

კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილებებიდან გამომდინარე, კანონის მე-4 მუხლს (ტერმინების განმარტება) ემატება ახალი ტერმინები.

კანონს ემატება მე-5[1] მუხლი, რომლის შესაბამისადაც, ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვისა და მონიტორინგის მიზნებისათვის საქართველოს მთელი ტერიტორია დაიყოფა ზონებად და აგლომერაციებად, რომლებიც დამტკიცდება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის სამართლებრივი აქტით. ზონების და აგლომერაციების კლასიფიცირება მოხდება ატმოსფერული ჰაერის ხარისხის სტანდარტების შესახებ ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი შეფასების ზედა და ქვედა ზღვრების მიხედვით, არანაკლებ ხუთ წელიწადში ერთხელ. აღსანიშნავია, რომ კანონის არსებული რედაქციით არ არის გათვალისწინებული ტერიტორიის დაყოფა მართვისა და მონიტორინგის მიზნებისათვის, არამედ კანონის მე-20 მუხლის თანახმად, ხდება რეგიონების დაყოფა განსაკუთრებით დაბინძურებული, მაღალი დაბინძურების და დაბინძურების არმქონე კატეგორიებად არა კონკრეტული მახასიათებლებისა და კრიტერიუმების გათვალისწინებით, არამედ მხოლოდ მავნე ნივთიერებებით დაბინძურების დონეების მიხედვით. ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შეფასებისას, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მოსახლეობის რაოდენობა და ის ეკოსისტემები, რომლებიც განიცდიან ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებას. აქედან გამომდინარე, ცვლილების თანახმად, აგლომერაციების დადგენა მოხდება მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით, ხოლო ზონები დადგინდება ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შედეგების, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის ინვენტარიზაციის, გეოგრაფიული და მეტეოროლოგიური პარამეტრების გათვალისწინებით. ზონები შესაძლებელია არ ემთხვეოდეს ერთი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს, არამედ შედიოდეს რამდენიმე მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში. ამგვარი დაყოფა ხელს შეუწყობს ატმოსფერული ჰაერის მართვისა და მონიტორინგის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბებსა და ფუნქციონირებას. თითოეული ზონისა და აგლომერაციისთვის დადგენილი შეფასების რეჟიმების მეშვეობით განისაზღვრება დაბინძურების დონის გაზომვის კონკრეტული მეთოდები (რომელიც გაიწერება კანონის 21-ე მუხლით დადგენილ კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტში).

კანონპროექტის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში განხორციელებული ცვლილების მიხედვით ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ექნებათ უფლება, მიიღონ სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია არამხოლოდ ატმოსფერული ჰაერის ხარისხის, არამედ ასევე ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის გეგმების და მოკლევადიანი სამოქმედო გეგმების შესახებ. აღნიშნულ პუნქტში ასევე ხორციელდება ტექნიკური ხასიათის ცვლილება და მე-20 მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული

„აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულების“ ნაცვლად მიეთითება „საჯარო დაწესებულება“.

კანონის მე-8 მუხლის პირველ პუნქტს ემატება „$გ^1$“ და „$გ^2$“ ქვეპუნქტები, რომელთა მიხედვითაც ატმოსფერული ჰაერის დაცვის სფეროში საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა კომპეტენციებად ასევე განისაზღვრება ზონებისა და აგლომერაციების დადგენა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე და ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის გეგმებისა და მოკლევადიანი სამოქმედო გეგმების შემუშავება შესაბამის მუნიციპალიტეტ(ებ)თან შეთანხმებით, თითოეულ ზონასა და აგლომერაციაში გამოვლენილი დაბინძურების ხარისხის ან დაბინძურების რისკის შესაბამისად.

გამომდინარე იქიდან, რომ კანონპროექტით შემოდის ახალი ტერმინი „ძირითადი მავნე ნივთიერებები“, ხოლო ევროკავშირის დირექტივების შესაბამისად, „ატმოსფერული ჰაერის ხარისხის სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტით ატმოსფერული ჰაერის ხარისხის სტანდარტები განისაზღვრება არა ყველა, არამედ სწორედ ძირითადი მავნე ნივთიერებებისთვის (ხოლო სხვა მავნე ნივთიერებებისთვის ზღვრულად დასაშვები ნორმები განისაზღვრება „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად), კანონის მე-18 მუხლში შედის შესაბამისი ცვლილება. ამასთან ხდება კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტში მოცემული ზღვრულად დასაშვები ნორმების განმარტების ამოღება, ვინაიდან ზღვრულად დასაშვები ნორმები, ცვლილების თანახმად, განიმარტება კანონის მე-4 მუხლში (ტერმინთა განმარტებაში), ევროდირექტივებში მოცემული განმარტების გათვალისწინებით.

ცვლილებიდან გამომდინარე (რომლითაც კანონს ემატება მე-5^1 მუხლი) შესაბამისად ახლებურად ყალიბდება კანონის მე-20 მუხლიც.

კანონის 29^2 მუხლსა და 38-ე მუხლის მე-7 პუნქტში შედის ტექნიკური ხასიათის ცვლილება, რომელიც გულისხმობს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონალური ობიექტების და მათი გაფრქვევების აღრიცხვას. იქედან გამომდინარე, რომ ამოქმედდა ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონალური ობიექტების ანგარიშგების ელექტრონული სისტემა, შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის ხდება ელექტრონული ფორმით, რაც ამავდროულად სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს აარიდებს დამატებითი ხარჯების გაწევის აუცილებლობას.

ასევე, კანონს ემატება 44^1 და 44^2 მუხლები, რომელთა თანახმად, დეტალურად განისაზღვრება ატმოსფერული ჰაერის ხარისხისა და მოკლევადიანი სამოქმედო

გეგმების მიღების წესი, მოქმედების ფარგლები და პასუხისმგებელი ორგანოები. კერძოდ, თუ რომელიმე ზონაში ან/და აგლომერაციაში ატმოსფერული ჰაერის ძირითადი მავნე ნივთიერებების დონეები აჭარბებს ზღვრულად დასაშვებ ნორმებს ან მიზნობრივ მნიშვნელობას, ასევე შესაბამის ტოლერანტობის ზღვარს, შემუშავდება ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის გეგმები საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, იმ მუნიციპალიტეტთან/მუნიციპალიტეტებთან შეთანხმებით, რომლის/რომელთა ადმინისტრაციულ საზღვრებშიც მოქცეული იქნება შესაბამისი ზონა ან აგლომერაცია და სადაც უნდა მოხდეს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის სტანდარტების ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული ზღვრულად დასაშვები ნორმებისა და მიზნობრივი მნიშვნელობების მიღწევა. ამასთან, კანონპროექტი ცალკე განსაზღვრავს იმ შემთხვევას, როდესაც ძირითადი მავნე ნივთიერებებისთვის დგინდება ტოლერანტობის ზღვარი მაშინ, როდესაც ვერ ხერხდება ატმოსფერული ჰაერის სტანდარტის ხარისხის ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი ზღვრულად დასაშვები ნორმების დაცვა. ამ შემთხვევაში, უნდა მოხდეს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის გეგმის შემუშავება, ტოლერანტობის ზღვრიდან ზღვრულად დასაშვებ ნორმებამდე ძირითადი მავნე ნივთიერებების კონცენტრაციის შესამცირებლად. ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის გეგმას ამტკიცებს საქართველოს მთავრობა. კანონპროექტში დეტალურად არის გაწერილი ის ინფორმაცია, რასაც უნდა მოიცავდეს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის გეგმა.

იმ შემთხვევაში, თუ არსებობს რისკი, რომ კონკრეტულ ზონასა ან აგლომერაციაში მოხდება ატმოსფერული ჰაერის ხარისხის სტანდარტების ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი განგაშის ზღვრის გადაჭარბება, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, შესაბამის მუნიციპალიტეტ(ებ)თან შეთანხმებით, შეიმუშავებს მოკლევადიან სამოქმედო გეგმას. მოკლევადიანი სამოქმედო გეგმა ასევე შესაძლებელია შემუშავდეს, თუ არსებობს ზღვრულად დასაშვები ნორმების ან მიზნობრივი მნიშვნელობების გადაჭარბების რისკი. მოკლევადიანი სამოქმედო გეგმა ასევე მტკიცდება საქართველოს მთავრობის მიერ.

ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის გეგმებსა და მოკლევადიანი სამოქმედო გეგმებს შორის ძირითადი განსხვავება მდგომარეობს იმაში, ატმოსფერული ჰაერის ხარისხის თუ რომელი სტანდარტების გადაჭარბების რისკი გვაქვს სახეზე, ასევე ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის გეგმები თავისი არსით უფრო მასშტაბურია და ადგენს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებისკენ მიმართულ ღონისძიებებს უფრო გრძელვადიანი პერიოდისათვის, როდესაც მოკლევადიანი სამოქმედო გეგმები შედარებით უფრო მცირე ვადაში ისახავენ მიზნად რისკის აღმოფხვრას ან გადაჭარბების ხანგრძლივობის შემცირებას.

ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის გეგმები, ისევე როგორც მოკლევადიანი სამოქმედო გეგმები, საჯაროა და ქვეყნდება სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და შესაბამისი მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდზე.

ახლებურად ყალიბდება კანონის 51-ე მუხლის მე-2 პუნქტი და ემატება მე-3-მე-6 პუნქტები. კერძოდ, დეტალურად განისაზღვრება ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის წესი - სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო ყოველწლიურად გამოაქვეყნებს ანგარიშს, რომელშიც ასახული იქნება ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგის შედეგებისა და ატმოსფერული ჰაერის ძირითადი მავნე ნივთიერებებით დაბინძურების შესახებ ინფორმაცია.

კანონს ემატება 51[1] მუხლი, რომელიც არეგულირებს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შესახებ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებს.

კანონის 53-ე მუხლს ემატება მე-5 და მე-6 პუნქტები, კერძოდ, განისაზღვრება საქართველოში ფტორირებული სათბურის აირების აღრიცხვის, აღდგენის, გაუვნებელყოფის, გამოყენების, ემისიების პრევენციის და კონტროლის წესები და მათთან დაკავშირებული დამატებით ღონისძიებები და აღნიშნული პროცესის მართვის კომპეტენტური უწყება - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

კანონის 68-ე მუხლს ემატება პუნქტები, რომლებითაც გათვალისწინებულია ამ კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით განსახორციელებელი ღონისძიებები და გამოსაცემი აქტები. აქვე, კანონპროექტის მე-2 მუხლი აწესრიგებს კანონის ძალაში შესვლასთან დაკავშირებულ საკითხებს, კერძოდ, კანონპროექტით გათვალისწინებულია ცვლილებების ამოქმედება, ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების ვადების შესაბამისად, გათვალისწინებულია ეტაპობრივად, 2019-2021 წლებში.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიციირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილებები ეხმიანება 2018-2020 წწ. სამთავრობო პროგრამას და ასევე, საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნულ პროგრამას. კერძოდ, 2018-2020 წწ. სამთავრობო პროგრამის („თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა“) 2.11.4 თავში (გარემოს დაცვა და სოფლის მეურნეობა) აღნიშნულია, რომ გარემოს დაცვა, მისი მდგრადობის შენარჩუნება და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების პარალელურად, მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს და

საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. ამ მიზნით, პროგრამის მიხედვით, „გაუმჯობესდება ატმოსფერული ჰაერის, წყლისა და ნიადაგის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემა, ასევე, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევისა და წყლის გამოყენების აღრიცხვის სისტემები“.

ასევე, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის N1124 განკარგულებით დამტკიცებული საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამის (2017-2021 წწ.) მე-4 პუნქტის (ატმოსფერული ჰაერის დაცვა) მიხედვით, პროგრამის ერთ-ერთი მიზანია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სუფთა და ადამიანის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო ჰაერის უზრუნველყოფა. აღნიშნულის მისაღწევად დასახულია სამი ამოცანა (1. ეკონომიკის სხვადასხვა სექტორიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების შემცირება; 2. ჰაერის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემის განვითარება; 3. გაფრქვევების ინვენტარიზაციის სახელმწიფო სისტემის გაუმჯობესება და გაფრქვევების პროგნოზირების სისტემის დანერგვა), რომელთა განხორციელებაც უნდა მოხდეს 2017-2021 წლებში. კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილებებით განხორციელდება ამავე პროგრამის სამოქმედო გეგმით (4.5 პუნქტი) განსაზღვრული ქმედებები (მათ შორის: საქართველოს ჰაერდაცვითი კანომდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან (ქმედება 1.1); ჰაერის ხარისხის შეფასებისა და მართვის მიზნით ქვეყნის ტერიტორიის ზონებად და აგლომერაციებად დაყოფა და კატეგორიზაცია (2.3.); ყოველკვარტალურად ჰაერის ხარისხის ინდიკატორული გაზომვების (პასიური სინჯების აღება) ჩატარება საქართველოს სხვადასხვა ქალაქში (2.4.) და სხვ.

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში - აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონპროექტით გათვალისწინებული ცვლილებების ამოქმედება გათვალისწინებულია ეტაპობრივად, 2019-2021 წლებში. ცვლილებების ამოქმედების აღნიშნული ვადები დადგენილია ასოცირების შეთანხმებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების ვადების გათვალისწინებით. რაც შეეხება კანონის 51[1] მუხლის (ატმოსფერული ჰაერის ხარისხის შესახებ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა) მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტს, რომელიც ეხება ატმოსფერული ჰაერის ხარისხის განმსაზღვრელი პარამეტრების ზღვრული მნიშვნელობების გადაჭარბების შესახებ მომდევნო დღის საპროგნოზო მონაცემების მიწოდებას - გამომდინარე იქედან, რომ ამ ეტაპზე ქვეყანაში არ არსებობს მსგავსი მონაცემების დამუშავების ფინანსური/ტექნიკური/ადამიანური რესურსები, ამ პუნქტის ამოქმედება გათვალისწინებულია მოგვიანებით - 2024 წლის პირველ იანვარს.

აქვე აღსანიშნავია, რომ კანონპროექტი კანონისთვის უკუძალის მინიჭებას არ თვალისწინებს.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას:

კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა არ არის მოთხოვნილი.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალოვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი):

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ხარჯების გამოყოფას. ამასთან, ამ კანონის საფუძველზე შემუშავებული სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული ღონისძიებები შესაბამისი სახელმწიფო უწყებების და მუნიციპალიტეტების მიერ განხორციელდება მათი კომპეტენციის შესაბამისად, მათი ასიგნებების/ბიუჯეტების ფარგლებში.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას სახელმწიფო ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე. სახელმწიფო უწყებების, ასევე, შესაბამისი მუნიციპალიტეტების მიერ ამ კანონიდან გამომდინარე ქმედებები განხორციელდება მათი კომპეტენციებისა და ბიუჯეტების ფარგლებში. კერძოდ, რაც შეეხება კანონპროექტით გათვალისწინებულ ზონებში/აგლომერაციებში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგს და მართვას - ზონები და აგლომერაციები დადგინდება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ და ამისთვის დამატებითი რესურსების გამოყოფა საჭირო არ არის. ასევე, სამინისტროს მიერ მოხდება ზონებში/აგლომერაციებში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის გეგმების შემუშავება (ისევე, როგორც ეს მოხდა ქ. თბილისის ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შემცირების ხელშემწყობი ღონისძიებების შესახებ სახელმწიფო პროგრამის შემუშვებისას), რაშიც ჩართული იქნებიან კომპეტენტური სახელმწიფო უწყებები/შესაბამისი მუნიციპალიტეტები და მათი უფლებამოსილებების ფარგლებში, მათთან შეთანხმებით და მათი რესურსების გათვალისწინებით მოხდება ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გამოსასწორებელი

ღონისძიებების/რეკომენდაციების დაგეგმვა/განხორციელება. ამასთან, მოცემულ ეტაპზე ამ ღონისძიებების და მათ განსახორციელებლად საჭირო რესურსების განსაზღვრა შეუძლებელია, რადგან აღნიშნული დამოკიდებული იქნება კონკრეტულ ზონაში/აგლომერაციაში ჰაერის ხარისხის მდგომარეობაზე და შესაბამისად, ზონების/აგლომერაციების მიხედვით განსხვავებული იქნება ჰაერის ხარისხის გამოსასწორებლად საჭირო ღონისძიებებიც (მაგალითად ქ. თბილისის შემთხვევაში ეს ღონისძიებები იყო: საზოგადოებრივი ტრანსპორტის პარკის განახლება, ტრანსპორტის ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, მწვანე სივრცეების გაზრდა, პარკირების მოწესრიგება, ნარჩენების მართვის გაუმჯობესება და სხვ. ხოლო შესაბამის სახელმწიფო უწყებებს დაევალათ - სხვადასხვა სფეროში შესაბამისი რეგულაციების, სტანდარტების, ტექნიკურ რეგლამენტების შემოღება, არსებული რეგულაციების შესრულების მონიტორინგის გამკაცრება და ა.შ). ასევე, რაც შეეხება გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყლფას, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო, საკუთარი უფლებამოსილების შესაბამისად, ისედაც აწარმოებს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის კონტროლს/კვლევას, რის შემდგომც მოხდება მიღებული მონაცემების ანალიზი, დახარისხება და საზოგადოებისთვის მიწოდება (ვებგვერდზე გამოქვეყნება), რაც დამატებით რესურსებს არ საჭიროებს. ასევე, დამატებით რესურსებს არ მოითხოვს კანონპროექტით გათვალისწინებული ნორმატიული აქტების (ტექნიკური რეგლამენტების) პროექტების მომზადებაც, ვინაიდან მათი მომზადება სამინისტროს მიერ ხორციელდება საკუთარი ადამიანური რესურსებით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება, მითუმეტეს პერიოდების მიხედვით, ამ ეტაპზე, რთულია, ვინაიდან უწყებების/მუნიციპალიტეტების მიერ გასატარებელი კონკრეტული ღონისძიებები უნდა დადგინდეს იდივიდუალურად, თითოეული ზონის/აგლომერაციის საჭიროების მიხედვით და შესაბამისად, მუნიციპალიტეტებთან შეთანხმებით და მათი ადამიანური/ფინანსური შესაძლებლობების გათვალისწინებით მოხდება გასატარებელი კონკრეტული ღონისძიებების და მათი განხორციელების გრაფიკის დადგენა. ამასთან, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ შემოდის გარკვეული ახალი რეგულაციები, კანონპროექტით გათვალისწინებულია სხვადასხვა მუხლის/პუნქტის ამოქმედების განსხვავებული ვადები.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტით არ დგინდება სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, ასევე კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების

მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებები (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები).

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით, რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

კანონპროექტის მიღება არ იწვევს ფინანსურ შედეგებს იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტით არ დგინდება შესაბამის ბიუჯეტში შესატანი გადასახადი, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახდელი (ფულადი შენატანი).

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი შეესაბამება „ატმოსფერული ჰაერის ხარისხისა და ევროპაში უფრო სუფთა ჰაერის შესახებ“ 2008 წლის 21 მაისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2008/50/EC და „ატმოსფერულ ჰაერში დარიშხანის, კადმიუმის, ვერცხლისწყლის, ნიკელის და პოლიციკლური არომატული ნახშირწყალბადების შემცველობის შესახებ“ 2004 წლის 15 დეკემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2004/107/EC დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/ და ნაწილი:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს. აგვეთვე კანონპროექტის მომზადება არ უკავშირდება რომელიმე ხელშეკრულებას/შეთანხმებას.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

„ატმოსფერული ჰაერის ხარისხისა და ევროპაში უფრო სუფთა ჰაერის შესახებ“ 2008 წლის 21 მაისის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2008/50/EC და „ატმოსფერულ ჰაერში დარიშხანის, კადმიუმის, ვერცხლისწყლის, ნიკელის და პოლიციკლური არომატული ნახშირწყალბადების შემცველობის შესახებ“ 2004 წლის 15 დეკემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2004/107/EC დირექტივები (დანართები: ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილები).

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:
დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/ დაწესებულება, ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილოება მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:
ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:
ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:
ასეთი მიმოხილვა არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:
საქართველოს მთავრობა.